სამშობლო დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა..

# ოდიში

№ 8 (10539)
შაბათი 13 ივნისი
ფასი 1 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

## სიძნელეებმა არ უნდა შეგვაშინოს

დღეს სოფლის მეურნეობა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით ყველაზე ცუდ დღეშია. თავისუფალი ფასების შემოღებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა საზოგადოებრივი მეურნეობები, მიწის მუშა. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფასები დღეისათვის კოლოსალურად არის გაზრდილი. საკმარისია აღინიშნოს, რომ 700 ათასი მანეთი ღირს ის ტრაქტორი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ 30-40 ათას მანეთს ფასობდა. არაფერს ვამბობთ ბენზინზე, დიზელის საწვავზე, მინერალურ სასუქებზე, სათადარიგო ნაწილებზე და ა. შ.

ფასების ლიბერალიზაციამ და საბაზრო ეკონომიკის სხვა მამოძრავებელი პრინციპების არასწორმა პოლიტიკამ წარმოშვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ალებური დეფიციტი, რასაც თითოეული ჩვენთაგანი ყოველდღიურად ვგრძნობთ. ასეთ პირობებში გლეხს ვთავაზობთ მიწას, იმედს ვამყარებთ პრივატიზაციაზე. ერთის მხრივ ეს კარგი საქმეა. მაგრამ ვხედავთ კი რა მოგველის? მიწის გარდა რას ვთავაზობთ გლეხს? განა შეუძლია დღეს მიწის მშრომელს ასეთი დეფიციტისა და ზღაპრული ფასების პირობებში მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა, მიწის დამუშავება და იქიდან მაღალი მოსავლის მიღება?

ეს და სხვა საკითხები დღეს ყველას აღელვებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, საზოგადოებრივი მეურნეობების და განსაკუთრებით დაბალრენტაბელური კოლმეურნეობების დღევანდელი სახით შემდგომი ფუნქციონირება შეუძლებელი ხდება. საკმარისია ითქვას, რომ ასეთი სახის საზოგადოებრივ მეურნეობებს უკვე დღეისათვის ერიცხებათ ბანკის ვადაგადაცილებული მოკლევადიანი სესხი 877 ათასი მანეთი და გრძელვადიანი სესხი 12537 ათასი მანეთი. ამასთან დიდია სესხების ვადაგადაცილებული დავალიანება და ისედაც დაუძლურებული მეურნეობები პროცენტების გადახდით კიდევ უფრო უძლურდებიან და გადახდის უუნარონი ხდებიან. გამომდინარე აქედან აუცილებელია ასეთი მეურნეობების მეურნეობრიობის ფორმის შეცვლა უფრო მისაღები ფორმით. რა თქმა უნდა მათში მომუშავეთა საერთო აზრის გათვალისწინებით. მიზანშეწონილია შეიქმნას აგრარული რეფორმის გამტარებელი კომპეტენტური რაიონული კომისია, რომელიც სპეციალურად იმუშავებს ამ საკითხებზე და მიწის პრივატიზაციას გონივრულად შეუხამებს წარმოების ფორმასაც.

ჩვენი სავარაუდო პროგნოზით თუ ჩაის პლანტაციებმა მოგვცა საშუალება, წელს უნდა მოიკრიფოს 40-45 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ნედლეული. ეს კი ფულად გამოხატულებაში ნედლეულის რეალიზაციიდან მიღებული 675 მილიონი მანეთის ფულადი შემოსავალია. ხოლო მოგება 168 მილიონ მანეთს მიაღწევს. ამ დიდი ამოცანის შესრულებაში მაინც მთავარი და მთავარი მეჩაიეთა მატერიალური დაინტერესებაა.

ხელაღებით მეურნეობების დაშლამ ძალზე მძიმე მდგომარეობის წინაშე დააყენა რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონების სოფლები. ამ მხრივ არც ჩვენი რაიონის სოფლებია კარგ დღეში.

იმის გამო, რომ არ არსებობს არავითარი დამცავი მექანიზმი, კარგა ხანია დაიწყო და გრძელდება მიწების თვითნებური მიტაცება. მეურნეობათა ხელმძღვანელები დაიღალნენ სამართალდამცავ ორგანოებში სიარულით. ეს უკანასკნელნიც ვერაფერს ხდებიან. ამის შედეგად, როგორც სხვა დარგებში, სოფლის მეურნეობაშიც სრული განუკითხაობა და ქაოსი სუფევს.

მიწების თვითნებურმა მიტაცებამ თავისი დაღი დაამჩნია მეცხოველეობის დარგის განვითარებას. საფუძველი გამოეცალა ადგილობრივი საკვები ბაზის შექმნას. აღნიშნულს დაემატა ის გარემოება, რომ შეიზღუდა გარედან საკვების შემოზიდვა და ერთ დროს რაიონში საკმაოდ მოღონიერებული დარგი ფაქტიურად მოიშალა. ამჟამად დარჩენილ ფერმებში პროდუქტიული პირუტყვის პრივატიზაცია ხორციელდება, თუ გასულ წელს რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები 2200 სულ მსხვილფეხა საქონელს ითვლიდა, დღეისათვის მათი რიცხვი 1200 სულამდე დავიდა. მიწების პრივატიზაციასთან დაკავშირებით კვლავ საგრძნობი შემცირებაა მოსალოდნელი. იქ, სადაც საკვები ბაზის შექმნის შესაძლებლობაა, განსაზღვრული რაოდენობით ფერმებს შეინარჩუნებენ. მაგრამ ეს მოხდება იმ შემთხვევაში თუ კომბინირებული საკვებით უზრუნველყოფაში რაიმე პერსპექტივები იქნება.

მიუხედავად რაიონში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობისა, საზოგადოებრივ მეურნეობებში მიწის დამუშავების პროცესი დაჩქარდა. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ წელს მარცვლეულის მაღალი მოსავალი იქნას მიღებული. მაგრამ მარცვლეულის რაოდენ მაღალი მოსავალი არ უნდა მივიღოთ, ის მაინც ვერ წასწევს წინ ჩვენი რაიონის გაჩანაგებულ ეკონომიკას, ჩვენი არსობის პური და ძირითადი შემოსავლის წყარო სოფლის მეურნეობაში ჩაის კულტურაა.

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს 7200 ჰექტარი სრულ მოსავლიანი პლანტაცია ერიცხება. კურიოზია მაგრამ ფაქტია, რომ კრეფის სეზონს გაუსხლავი და დაუმუშავებელი პლანტაციებით შევხვდით. ფართობების დიდ ნაწილში მინერალური სასუქები არაა შეტანილი. ასეთი ფაქტი ჩვენი რაიონის ისტორიას არ ახსოვს და არავინ იცის რა გავლენას მოახდენს ყოველივე ეს მცენარის ბიოლოგიურ თვისებებზე მომავალში, რამდენად შემცირდება მოსავლიანობა. მიუხედავად სიძნელეებისა ფაბრიკები მოემზადნენ სეზონის ორგანიზებულად დაწყებისათვის.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დღევანდელი დეფიციტისა და სიძვირის პირობებში ჩაის ნედლეულის თვითღირებულება მოსალოდნელია ავიდეს 15-16 მანეთამდე. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჰექტარი ჩაის პლანტაციის ქვეშ სამუშაოებისათვის წლის განმავლობაში იხარჯება 4600 მანეთის საწვავ-საცხები მასალები, 3900 მანეთის მინერალური სასუქები და ა. შ. ამასთან დიდია სახელმწიფო სავალდებულო გადასახადების პროცენტები. რა თქმა უნდა ეს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აყენებს საზოგადოებრივ მეურნეობებს და უარყოფითად იმოქმედებს იმ დასაქმებული ადამიანების მატერიალურ ანაზღაურებაზეც. თუ გვინდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მატება, გლეხს ამოსუნთქვის საშუალება უნდა მივცეთ, შევუქმნათ ნორმალური მუშაობის პირობები. ამიტომაა, რომ ჩვენი მეჩაიე დიდი კმაყოფილებით ვერ შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ ყოველ კილოგრამ დახარისხებული ხარისხოვანი ნედლეულის საზღაურად მიიღებს 8 მანეთს. არავის იცის მატერიალურ ტექნიკური რესურსების და პირველადი მოხმარების საგნების ფასები როგორი ტემპით გაიზრდება ხვალ და ზეგ. და თუ მის შესაბამისად არ გაიზრდება მოკრეფილი ხარისხოვანი ფოთლის საზღაური, რა თქმა უნდა კრეფის პროცესი არა თუ შენელდება, არამედ მალზე გაუჭირდებათ ჩაის მწარმოებელ საზოგადოებრივ მეურნეობებს საკრეფად შემოსული ნედლეულის გადაღება. ნედლეულის გადაუხდელობით უფრო დაზარალდებიან საზოგადოებრივი მეურნეობები. აქ კი მეურნეობათა ხელმძღვანელებს და ეკონომიკური საფინანსო სამსახურის მუშაკებს პრობლემების გონივრული გადაწყვეტა მართებთ. საჭირო იქნება შესაბამისად დარეგულირდეს ჩაის ფოთლის კრეფის ანაზღაურება.

დღევანდელი პოლიტიკური დაძაბულობისა და ეკონომიკური სირთულეების გათვალისწინებით დიდი სიძნელეების წინაშე ვართ. გვიჭირს ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტა. ამიტომ რანაირი უზენაესი მიზანიც არ უნდა გვამოძრავებდეს, არ შეიძლება ამბიციებს ემსხვერპლოს მიწის მარჩენალი, თორემ იგივე გლეხი ხვალ ამას არ გვაპატიებს და თუ შექმნილ სიტუაციას მთელი გაგებით მოვეკიდებით წარმატებით დავძლევთ ყველა დაბრკოლებას.

თ. ცირამუა,
ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

## მიმართვა თანაქალაქელებს!

ქალაქის კოლორიტს, მის იერსახეს ქმნის არა მარტო ბუნებრივ-არქიტექტურული ხედი, არამედ უფრო მნიშვნელოვანი, მისი სულიერი მხარეც.

ზუგდიდს დასაბამიდან იგრძნობოდა მონარქისტული სუნთქვა, რომელიც დღეს არ არსებობს. სამწუხაროდ, არც ახალი აზროვნების, ქალაქის უშრეტი სიყვარულის და ზუგდიდელობის პოზიციის ზეგავლენა სუფევს. ზუგდიდი დამგვანებია დემოგრაფიული ექსპანსიის, ასიმილაციის მსხვერპლს.

ქალაქი თავისი მიზნებითა და ოცნებებით არის დიადი და არა მასშტაბებით.

ქალაქი თავისი ლამაზი სიცოცხლით არის უკვდავი და არა მატერიალური სწრაფვით.

ქალაქი სალოცავის ქვების მოფერებით არის მადლიერი და არა ცათამბჯენებით.

ქალაქი ურთიერთშენდობით არის ღვთისაგან კურთხეული და არა სატანის ბოგინით.

ზუგდიდელებო! ყოველმა ჩვენთაგანმა თავისი ცხოვრების მამოძრავებელი ძალის ბერკეტის საყრდენ წერტილად საკუთარი ქალაქი უნდა გაიხადოთ.

რაც შეეხება ეროვნულ-დემოკრატიული პარტია— მე-4 დასის ზუგდიდის კომიტეტს, მისი მორალური ბაზისი იმ ეროვნული იდეების ხორცშესხმაა, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ფუძემდებელს, მის პირველ თავმჯდომარეს, ჩვენს თანაქალაქელ სპირიდონ კედიას ასაზრდოებდა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია—მე-4 დასის ზუგდიდის კომიტეტი ყოველ ჟამს მართალ სიტყვას ეტყვის საკუთარ ქალაქს, ნებისმიერი მოქალაქის უფლებების დაცვის, მისი ეროვნული ღირსების და დემოკრატიის გარანტიად დადგება.

**ეროვნულ - დემოკრატიული პარტია—მე-4 დასის ზუგდიდის კომიტეტი.**

## ამუშავდა როლერები

ზუგდიდის ნომერ პირველმა ჩაის ფაბრიკამ 5 ივნისს დაიწყო ნედლეულის მიღება. მრეწველობას პირველი ტონები ჩააბარეს ჭითაწყარის, ოდიშის კოლმეურნეობებმა, კორცხელის მოსახლეობამ.

ნავარაუდევია ფაბრიკამ სეზონში მიიღოს და გადაამუშაოს 3800 ტონაზე მეტი ნედლეული. სადღეღამისო წარმადობა 60 ტონაა.

ეროვნულ სიმდიდრეს—ჩაის გაფრთხილება უნდა, რაზე თუ მისი გადაუხეშება გამოიწვევს დანაკარგებს.

ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის

# განკარგულება

## მეჩაიეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობას მიაჩნია, რომ ამჟამად სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით მეჩაიეობაში შექმნილია ძალზე მძიმე მდგომარეობა.

მიმდინარე წლის განვლილი პერიოდის მოვლენებმა ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგი ყველაზე მეტად დააზარალა. პლანტაციების მოვლითი ღონისძიებების გაუტარებლობის შედეგად მოსალოდნელია **მოსავლიანობის** მკვეთრი დაცემა, ნედლეულის ხარისხის გაუარესება და ბუჩქების დაკნინება. თუ კიდევ დავაყოვნებთ და სასწრაფოდ არ დავიწყებთ საკრეფად შემოსული მოსავლის აღებას, შეიძლება უფრო კატასტროფული შედეგები მივიღოთ. ვერ დავიჯერებთ რაიონის მეჩაიეებს არ ესმოდეთ და არ აწუხებდეთ შექმნილი მდგომარეობა, ვინაიდან ყველაზე უკეთ მათ იციან საკუთარი ოჯახის ბიუჯეტში თუ რა დიდ როლს ასრულებს ამ დარგიდან მიღებული შემოსავალი.

მით უმეტეს, როდესაც მიმდინარეობს ფასების განუწყვეტელი ზრდა, განსაკუთრებით სურსათზე, ენერგორესურსებზე, შეიძლება ჩვენი უმოქმედობით და მოვლენების გაუთვალისწინებლობით აღმოვჩნდეთ სიღარიბის ზღვარს იქით. უნდა გვახსოვდეს, რომ საბაზრო ეკონომიკა ვერ იგუებს უსაქმურობას. პირიქით საჭიროა ჩვენს ხელთ არსებული ყველა სახის რესურსების ამოქმედება და გონივრული გამოყენება.

ამიტომ ნუ ავყვებით ზოგიერთის პირად ამბიციებს, რომლებიც პოლიტიკური ბრძოლის საბაბით მოუწოდებენ ხალხს უსაქმურობისაკენ, არავითარი გამართლება არა აქვს სიღარიბისათვის ბრძოლას. უგუნურებაა, როცა ხელიდან ვუშვებთ საარსებო მნიშვნელობის შესაძლებლობებს.

ასეთ პირობებში გაუგებარია სოფლის საკრებულოთა გამგებლების, მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და ჩაის ფაბრიკათა დირექტორების მომლოდინე პოზიცია და უმოქმედობა.

ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობა მიზანშეწონილად თვლის:

სოფლების მიხედვით მეჩაიეთა და ჩაის გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა გადაუდებელი მსჯელობის საგნად უნდა გახდეს დარგში სადღეისოდ შექმნილი საგანგებო ვითარება, სადაც დაისახება კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორების მიზნით, მათ შორის უმთავრესია:

1. ჩაის ფოთლის კრეფის გადაუდებლად დაწყება და მოსავლის აღების დროული ორგანიზაცია.

—მეჩაიეთა მატერიალური დაინტერესების სრულყოფა, ნედლეულის ტრანსპორტირებისა და ჩაის ფაბრიკებში მიღება-გადამუშავების ორგანიზაცია, პლანტაციებში მოვლითი ღონისძიებების გატარება და ა. შ.

2. სოფლის საკრებულოთა გამგებლების, მეურნეობათა ხელმძღვანელების და ჩაის ფაბრიკათა დირექტორების ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ მათი სპეციალისტების მონდომებულ ორგანიზატორულ მუშაობაზე დიდადაა დამოკიდებული რეგიონისათვის ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგის განვითარება. ამიტომ ყველა შესაძლო უარყოფით შედეგებზე პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ.

3. რაიონის სამართალდამცავმა ორგანოებმა გააძლიერონ მუშაობა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის. გამოავლინონ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ ყველა ისინი, ვინც ეწევა სახალხო ქონების დატაცება-განიავებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებების ან ორგანიზაციების ნორმალური მუშაობისათვის წინააღმდეგობის გაწევას, რაც ნიშნავს მავნებლობას და ისჯება სისხლის სამართლის წესით.

ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ო. ფაცაცია**

**1992 წლის 27 მაისი**

---

პაროდია

შემოდგომაა. № ქალაქის ხეივანში ნახევრადხმელ ცაცხვქვეშ მდგარ რკინა-ბეტონის სკამზე ორი ბერიკაცი ზის და მასლაათობს:

—ტრესტის მმართველად რომ დამნიშნეს, მაშინათვე შენ გამახსენდი. „სადგისლილნემსმრეწვიდან" გადმოგიყვანე მთავარ ეკონომისტად. სანდო კაცი იყავი, მარიფათიანი და იმიტომ. ხომ გახსოვს?

—კი, მახსოვს, რავა არ მახსოვს. ძალიან გშვენოდა ფუმფულა საუფროსო სავარძელზე ჯდომა; საქმიანი იყავი, პრინციპული, მომთხოვნი, ანგარიშიანი... პირადი მძღოლის პირით დამიბარე. რომ მივედი მითხარი: ამ საქმეს ოცდაათი ათასი დასჭირდებაო... მივდექ-მოვდექი, მოვაქუჩე სულ ტკიცინა-ტკიცინა ასიანები და როგორც მირჩიე ისე ვქენი — ჩემი ხელით შემოგიტანე სტადიონისხელა კაბინეტში. დასტები უჯრაში მევე ჩაგილაგე. უსიტყვოდ გამოვტრიალდი და კაბინეტიდან გამოსვლა დავაპირე. კარებთან შენი სიცილნარევი ხმა წამომეწია: მოიცა კაცო, სად მიდიხარ, ფულს დათვლა უყვარსო. ფულს ტუჩების ცმაცუნით ითვლიდი, თვალგაბრწყინებულს სახეზე ნეტარების სხივი დაგფოფინებდა... მერე მე რომ ვხედავდი ისე ჩემი დანიშვნის ბრძანებას ხელი მოაწერე. იმ საღამოს მამა-პაპურად ვიქეიფეთ ქალაქგარეთ, რესტორან „ლეწეში" სულ ყანწები ვატრიალეთ და კათხები რომ ვლეწეთ ხომ გახსოვს?

—მახსოვს, როგორ არ მახსოვს. ნამეტანი კაი დრო იყო, დალოცვილი! საზეიმო თარიღები, კრებები, სხდომები, თათბირები, ბიუროები, ულევი სტუმრიანობა ცენტრიდან, მისვლა-მოსვლა, დახვედრა-გაცილებები, ბანკეტები, სუფრები, ... ... რძით დაცვარული პურ-მარილები... ერთხელ თერჯოლური შამპანური დავიწუნე დასალევად და იმით, ხუთი თუმნის ფასად, ფეხები რომ დავაბანინე „ოფიციანტკას" ხომ გახსოვს?

—კი, მახსოვს, მახსოვს. ყველაფერი იაფი იყო და ულევი. ნასმურზე ხინკალი და ლუდი გიყვარდა. ჩეხური ლუდი რა ლამაზ ბოთლებში ესხა, რა გემო ჰქონდა ხომ გახსოვს?

—მახსოვს, აბა არ მახსოვს?! შენც კაი გვარიანი მსმელი იყავი. „ჩოთქის" კაცს გაყოფა-მიმატებაზე არანაკლებ გეხერხებოდა ლამაზი სადღეგრძელოების წარმოთქმა... საცივზე გიჟდებოდი, ათივე თითით ჭამდი და ინდაურის ძვლებს მგელივით ტკვერდი. საცივი ცხელ ღომთან რომაა კარგი ხომ გახსოვს?

—მახსოვს, რავა არ მახსოვს. ახლა კო ბოდიში შენთან და უნდა წავიდე, საქმე მაქვს ისეთი...

—სად მიგეჩქარება, გვესაუბრა ცოტა ხანს კიდევ.

—კარგია შენთან საუბარი, მაგრამ დაკეტავენ მერე იმ ოხერ მუზეუმს.

—მუზეუმში რა გინდა, შე კაცო.

—შვილიშვილმა შემიკლა ხელში: ბაბუ, რა არის და როგორიაო ნატურალური ხორცი, შაქარი, კარაქი, რძე... სწორედ დღეს შევპირდი, მუზეუმში წაგიყვან და განახებ-მეთქი. ჰოდა, წავედი ახლა მე.

—რა გაეწყობა, წავალ მეც. ბრაზილიური სალექი რეზინა მაქვს სახლში და...

# მახსოვს, აბა არ მახსოვს?

## ანუ მექრთამის ნოსტალგია

საუბარი ჩაიწერა

**ჯამბულ არქანიამ.**

---

# ვებრძოლოთ მინდვრის მავნებლებს

ამერიკული თეთრი პეპელა ფრიად საშიში საკარანტინო მავნებელია, აზიანებს 200-ზე მეტი სახის მერქნოვან, ბალახოვან და ბუჩქნარ მცენარეებს, განსაკუთრებით ძლიერ ზიანდება თუთა, ამერიკული ნეკერჩხალი, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, კომში, ბალი, კაკალი, ტირიფი, იფანი, თხილი, აზიანებს აგრეთვე ვაზს, ბოსტნეულ და ბაღჩეულ კულტურებს.

პეპელა თეთრია, ზოგჯერ გააჩნია შავი ან მუქი ყავისფერი ლაქები, პეპელა გაშლილი ფრთებით 25-35 მმ-ია. იგი საღამოობით და ღამე ფრენს.

პეპელა კვერცხებს დებს ძირითადად პერიფერიულ ტოტებზე, ფოთლის ქვედა მხარეს ჯგუფურად და აფარებს თეთრი ფერის ბეწვებს. ჯგუფში ჩვეულებრივ 400-600 კვერცხია. კვერცხი სფეროსებური, მომწვანომოყვითალოა.

მატლი განვითარების მანძილზე 6-7 ასაკს გადის. ახალგამოჩეკილი მატლი 1-1,5 მმ-ია, ზრდა სრული კი 2-35 მმ-ია, უკანასკნელი დაფარულია ხშირი და გრძელი ბეწვებით, ზურგის მხარე ხავერდოვანი მოშავო ან ყავისფერია, სადაც ორი წყვილი დიდი და პატარა შავი მეჭეჭები ორ რიგს ქმნიან, ხოლო გვერდებზე ნარინჯისფერი მეჭეჭების ოთხ-ოთხი რიგი აქვს, რომლებიდანაც ამოდიან შავი და თეთრი ფერის ჯაგრები. მატლები თავდაპირველად აბლაბუდის ქსელში ახვევენ 1-3 ფოთოლს და ქმნიან ბუდეს, შემდეგში თანდათან ზრდიან მათ, ბუდეში ცხოვრობენ მე-5 ასაკამდე ჯგუფურად, ხოლო შემდეგ ტოვებენ მას და იწყებენ აქტიურად გადასვლას სხვა ადგილებში. მე-6-7 ასაკში ისინი ერთეულ ცხოვრებას ეწევიან, ახალგაზრდა მატლები ფხეკენ ფოთლის ქვედა ეპიდერმისს და რბილობს, ზედა ეპიდერმისს კი ტოვებენ, შემდეგში იწყებენ ფანჯრების კეთებას, დარჩოჩხვას, უკანასკნელ ასაკში კი ფოთლის ძარღვებს და ზოგჯერ ყუნწებსაც კი არ ტოვებენ.

ზრდასრული მატლი დაცულ და მშრალ ადგილში ქსოვს ფაშარ ნაცრისფერ პარკს, სადაც იჭუპრებს.

ამერიკული თეთრი პეპელა ზამთრობს ჭუპრის ფაზაში, ამსკდარი ქერქის ქვეშ, შენობების სახურავებში, ღობეებში, ხმელ ფოთლებში. გვხვდება ნიადაგშიც. იგი ჩვეულებრივ ორ თაობას ანვითარებს, თუმცა ჩვენში გამორიცხული არ არის არასრული მესამე თაობის განვითარებაც.

პირველი თაობის პეპლების ფრენა მეტად გაჭიანურებულია და იწყება აპრილის ბოლო დეკადასა და მაისში, ხოლო მეორე—ივლისის ბოლოს აგვისტოში. კვერცხის განვითარების ხანგრძლივობა 7-20 დღეა. მატლის 30-45 დღეა. ჭუპრის 14-20 ეს ვადები მერყეობს კლიმატური პირობების შესაბამისად.

ამერიკული თეთრი პეპელა ძირითადად ეტანება განათებულ, მეჩხერ ნარგაობას, გზის პირებს და დასახლებულ პუნქტებს, პარკებს, ვხვდებით გამეჩხერებულ ტყის პირებსა და ცალკე მდგომ კორომებშიც.

ამერიკული თეთრი პეპელას აღმოჩენისთანავე აუცილებელია კერის ფართობის ზუსტი დადგენა და საკარანტინო ღონისძიებების მკაცრი დაცვა. მავნებლის კერის ლიკვიდაციისათვის საჭიროა მექანიკური, ბიოლოგიური და ქიმიური ბრძოლის შეთანაწყობა, სადაც წამყვანი როლი ქიმიურ ბრძოლას ენიჭება.

ამ მავნებლის კერების ლიკვიდაციის მიზნით თვით კერებში და დამცავ ზოლებში (არა ნაკლებ 300-400 მ-ისა რადიუსით) უნდა ჩატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

მავნებლის მოზამთრე ფაზის წინააღმდეგ გამხმარი ფოთლების და ტოტების შეგროვება და დაწვა, ნიადაგის ღრმად გადაბარვა. მატლების გამოჩენის შემდეგ კი ბუდეების შეგროვება და დაწვა.

ქლოროფოსის 0,3 პროცენტი სამუშაო ნაზავით ან სხვა რომელიმე ფოსფორორგანული კონტაქტური პრეპარატით (ფოზალონი, კარბოფოსი და სხვა) მცენარეების ორჯერადი დამუშავება ყოველი თაობის წინააღმდეგ, მატლების გამოჩეკის დაწყებიდან ყოველ 10-12 დღეში ერთხელ, მათ განადგურებამდე, ასევე უნდა დამუშავდეს ამავე პრეპარატებით ნარგაობის ქვეშ ბალახოვანი მცენარეული.

იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ქიმიური პრეპარატების გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დანაგვიანების საშიშროების თავიდან აცილების მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნეს ენტობაქტერინის 1 პროცენტიანი ნაზავის შესხურება.

ნარგავების ქიმიური დამუშავების შემდეგ, მცენარეული პროდუქციის გამოყენება შეიძლება მხოლოდ შესხურებიდან 20-25 დღის შემდეგ.

მუშაობის დროს მკაცრად უნდა იქნეს დაცული უსაფრთხოების ყველა ღონისძიება, რაც გათვალისწინებულია შხამქიმიკატების გადაზიდვის, შენახვის და გამოყენების ინსტრუქციით.

ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ ბრძოლის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს საკარანტინო-შემზღუდავი ღონისძიებების საქმეს, სახელდობრ მავნებლით დაავადებული რაიონი უნდა გამოცხადდეს კარანტინის ქვეშ და აიკრძალოს სოფლის მეურნეობის მცენარეული წარმოების პროდუქციის გატანა საკარანტინო შემოწმებისა და სერთიფიკატების გარეშე.

ამერიკული თეთრი პეპელას გამოვლინებისთანავე გთხოვთ აცნობოთ მცენარეთა დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო სადგურს, ჩვენი მისამართია — მერაბ კოსტავას ქ. № 52; ტელ.: 2-45-10.

**კლ. თოდუა,**

მცენარეთა დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო სადგურის უფროსი.

---

რედაქტორი
**აკ. ჭანტურია**

ტექნიკური მიზეზების გამო ჩვენი გაზეთის რამდენიმე ნომერი ორგვერდიანი იქნება

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ 56 ტელეფონები: რედაქტორის 2 24 80, რედაქტორის მოადგილის 2 33 69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2 25 12, რადიორედაქციის 2 17 00

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ №56 9-28-07 ტირაჟი 5000, შეკ. № 86.